

გამოწვევები საჯარო სკოლის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში

თემურ ვაშაკიძე, ია ცაგურია, ვერიკო ჯავახიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის ზოგადი განათლების
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია მჟავანაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

მადლობა

დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ, სსიპ ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ ეკა ენუქიძეს, გაწეული დახმარებისთვის და თანამშრომლობისთვის. ამასთანავე, მადლობას ვუხდით კვლევაში ჩართული ოთხი საგნის (სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ინგლისური, კომპიუტერული ტექნოლოგიები) მასწავლებლებსა და მოსწავლეებს (V, VI, VII, VIII, IX, X, XI, XII კლასები), რომლებიც აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას კვლევის ყველა ეტაპზე და აქტიურად ერთვებოდნენ კვლევაში არსებულ აქტივობებში.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ, ჩვენი პრაქტიკის კვლევის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ პედაგოგს, ქალბატონ ნათია მჟავანაძეს, რომელიც გვაძლევდა რეკომენდაციებს კვლევის ეტაპების სწორად წარმართვისთვის.

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

თემურ ვაშაკიძე

ია ცაგურია

ვერიკო ჯავახიძე

თარიღი: 18.06.2023 წელი

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის საკვლევ თემას წარმოადგენს გამოწვევები ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლაში. კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ტექნოლოგიებით გამდიდრებული სწავლა-სწავლების პროცესის მხარდაჭერა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე გამოიკვეთა სამი ძირითადი საკვლევ კითხვა: 1. რა გამოწვევების წინაშე დგანან პედაგოგები საგაკვეთილო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით? 2. რა განაპირობებს პედაგოგთა მხრიდან საგაკვეთილო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების დაბალ მაჩვენებელს? 3. რა სტრატეგიებითაა შესაძლებელი ციფრული ტრანსფორმაციის პროცესის ხელშეწყობა სკოლაში?

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კვლევის მეთოდად შეირჩა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდი - პრაქტიკის კვლევა, ხოლო მონაცემთა შესაგროვებლად გამოყენებული იქნა სხვადასხვა ინსტრუმენტები. პრობლემის იდენტიფიცირებისთვის დიაგნოსტიკის ეტაპზე გამოყენებულ იქნა სიღრმისეული ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი და კითხვარი. სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა სკოლის დირექტორთან, ფოკუს ჯგუფი - მასწავლებლებთან, რომელიც შედგებოდა ათი მასწავლებლისგან. ასევე, გამოვიყენეთ კითხვარი მოსწავლეებთან. ინტერვენციების შედეგების ანალიზისას მოსწავლეებთან და მასწავლებლებთანაც გამოვიყენეთ ფოკუს ჯგუფის მეთოდი.

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში არსებობდა მწირი გამოცდილება. საგაკვეთილო პროცესში დავალებების გაგზავნის, რესურსების გაზიარების, შეფასების, კომუნიკაციის თვალსაზრისით ონლაინ საგანმანათლებლო პლატფორმის გამოყენების ნაწილში. უნდა აღინიშნოს მასწავლებლების დაბალი კომპეტენციები ამ მიმართულებით, თუმცა მოტივაცია და სურვილი ტექნოლოგიური ცოდნის გაღრმავების მიმართ იყო საკმაოდ მაღალი.

ჩვენს მიერ განხორციელებული ინტერვენციები გულისხმობდა საგაკვეთილო პროცესში ერთ-ერთი ყველაზე აპრობირებული საგანმანათლებლო პლატფორმის Google Classroom-ის დანერგვა. ამ მიმართულებით ჩატარდა ტრენინგების ციკლი, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლებთან ერთად დავამუშავეთ პლატფორმის სხვადასხვა ფუნქციონალები და გამოყენების პრაქტიკა. ეტაპობრივად მასწავლებლებს უტარდებოდათ პრაქტიკული გაკვეთილები და ამის გარდა ეგზავნებოდათ წინასწარ მომზადებული ვიდეო გაკვეთილები მიღებული ცოდნის გენერალიზებისთვის.

შემუშავებული ინტერვენციების შედეგად ამაღლდა მასწავლებლების კომპეტენცია კონკრეტული პლატფორმის გამოყენების თალსაზრისით და შეიქმნა ახალი გამოცდილება, რომელმაც შესაძლებელი გახადა ნაკლებ დროში ეფექტურად და მოსწავლეთა ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით საგაკვეთილო მიზნები და ამოცანები გამხდარიყო ხელშესახები.

კვლევის მთავარ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს სკოლაში იმ უნიკალური გამოცდილების დანერგვა, რომელსაც აქვს სამომავლო პერსპექტივა, რომ გახდეს სტაბილური ხშირად გამოყენებული მეთოდი, რაც თავისთავად გაზრდის სკოლის პრესტიჟს, კონკურენტუნარიანობას, სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის მაქსიმალურ ჩართულობას.

საკვანძო სიტყვები: ტექნოლოგიებით გამდიდრებული სწავლა-სწავლების პროცესი, საგანმანათლებლო პლატფორმა, Google Classroom, ინფორმაციული ტექნოლოგიები.

Abstract

The research topic of this paper is challenges in the digital transformation process in school - Sachkhere, public school of Sairkhe village named after Jurkha Nadiradze. The main objective of this study was to support technology-enriched education. Based on the purpose of the research, several research questions were identified: 1. What challenges do teachers face in using technology? 2. What causes the low choice of technology use by teachers? 3. What strategies can be used to promote the process of digital transformation in the school?

Based on the purpose of this research the qualitative and quantitative method (Practice research) was chosen and various instruments were used for collecting data. At the diagnoses stage in depth-interview, focus group and questionnaire were used to identify problems. In-depth interview held with the school principal, focus group was held with teachers (10 participants) and questionnaire was used with students. In order to analyze the results of the intervention, a focus group was used with teachers and students as well.

As a result of the interview with the teachers, it was revealed that in the school there was little experience in terms of sending tasks, sharing resources, evaluation and communication with students outside the classroom. It should be noted the low competence of teachers in this direction, although the motivation and desire to improve technological knowledge was quite high.

Our interventions involved the introduction of one of the most proven educational platforms, Google Classroom into the classroom process. In this direction, a cycle of training was conducted. We worked together with the teachers on various functionalities and usage practices of the platform. Practical lessons were given to teachers, and in addition, pre-prepared video lessons were sent to generalize the acquired knowledge.

As a result of the developed interventions, the competence of the teachers was increased with the idea of using a specific platform and a new experience was created, which made it possible to effectively teach in less time and taking into account the interests of the students, the lesson goals and objectives became tangible.

The main achievement of the research can be considered the implementation of the unique experience in the school, which has the future prospect of becoming a stable and frequently used method, which will increase the school's prestige, competitiveness and maximum involvement of each member of the school community.

Keywords: technology-enriched teaching-learning process, educational platform, Google Classroom, information technologies.